

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის რექტორის 2021 წლის 9 ივნისის № 81/01-01 ბრძანების საფუძველზე ქიმიის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის დადგენილების №59 /2021 საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი N 1

23 ივლისი 2021 წ.

ქ. თბილისი, თსუ

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

1. იოსებ ჩიკვაიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. მაია რუსია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ელენე კაცაძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
4. ნელი სიღამონიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის ვაკანზიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ასოც.პროფ. იოსებ ჩიკვაიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

შეფასების პირველ ეტაპთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მარინა ქარჩხაძის განათლება - თსუ, კვალიფიკაცია-ქიმიკოსი, სპეციალობით მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია - დიპლომი წარჩინებით- Γ-1 N-170606. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, სპეციალობით - მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია - XM N 022456. მინიჭებული კვალიფიკაცია - დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის სპეციალობით (N 000713). სამსახურებრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი) ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად, კონკურსანტმა მარინა ქარჩხაძემ I კატეგორიაში „ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“ მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II - კატეგორიაში პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება და საერთო პედაგოგიური სტაჟი (30 წელი), სასწავლო-მეთოდური საქმიანობა (1. სახელმძღვანელო „პრაქტიკუმი მძნ სინთეზში მეთოდური მითითებით“; 2. მაკრომოლეკულების სინთეზი (სალექციო კურსი მაგისტრატურის სტუდენტებისთვის) - ელექტრონული ვერსია (5 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო კურსი არის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის სასწავლო გეგმაში და ამჟამად მას აქვს ამ საგნებში დატვირთვა)]. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს. კონკურსანტს გავლილი აქვს თსუ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები - დიპლომის N 8605; ტრენინგები გამოცდების ეროვნულ ცენტრში (2006-2012წ.წ.). კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“

III კატეგორიაში - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს 135 სამეცნიერო სტატია, მათ შორის 19 მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში (ბოლო 6 წელიწადში 30, მათ შორის 12 საერთაშორისო კონფერენცია). აქვს ციტირების ინდექსი: H - 6, g-13. 2013-2016 წლებში მონაწილეობდა საგრანტო პროექტში (სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი №31/90). აქვს ერთი პატენტი-გამოგონება - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ - GE P 2009 9326 A, გამოქვეყნებული 2009, 12, 25, №24. ფლობს ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებს. მის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი სრულად შეესაბამება ვაკანსიის პროფილს, კარგად ასახავს პრეტენდენტის პოტენციალს, საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“.

IV კატეგორია - სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი): იგი აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა თაობის დაინტერესების საქმეში, არის ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე; მაგისტრატურაში მისაღები სააპელაციო კომისიის წევრი. მარინა ქარჩხაძის საერთო შეფასება IV კატეგორიაში არის „მაღალი“


კონკურსის მეორე ეტაპთან – გასაუბრება– დაკავშირებით აღინიშნა, რომ მარინა ქარჩხაძის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ქიმიის დეპარტამენტზე, კათედრა „მაკრომოლეკულების ქიმია“ – არსებულ ასისტენტ პროფესორის ვაკანსიასთან გამოცხადებულ ვაკანსიაზე, ჩატარებული ფარული კენჭისყრით კომისიამ ერთხმად (4 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) დაუჭირა მხარი მარინა ქარჩხაძის კანდიდატურას.

დაადგინეს:

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტზე, კათედრა – მაკრომოლეკულების ქიმია – ასისტენტ პროფესორის ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის I (ოქმი N1) და II (ოქმი N 2) ეტაპების შედეგების საფუძველზე გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

ქიმიის დეპარტამენტი
კათედრა –მაკრომოლეკულების ქიმიის
მარინა ქარჩხაძე - ასისტენტ პროფესორი

კომისიის თავმჯდომარე,
ასოც. პროფ.




ო. ჩიკვაიძე

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე, ასოც.პროფ.



მ.რუსია

ასისტ.პროფ.



ე. კაცაძე

მდივანი
ასოც.პროფ.



ნ.სიდამონიძე